

სპორტიელი


ქართული
სპორტი

სპორტული გაზეთი

ორშაბათი 7 ივნისი 2004 №128 (2147)

ფასი 50 თეთრი

გაუ გასტონ გაუდიოს!



ქალთა ჩოგბურთის მოულოდნელობანი არ უყვარს. კი ბატონო, „როლან ვაროსის“ ქალთა ფინალში კბილა რუსების, ანასტასია მისკინას და ელენა დემენტიევას გასვლა მოულოდნელობა იყო, თუმცა იქ ყველაფერი დალაგდა და შედარებით მშვიდმა და მარჯვე მისკინამ იმარჯვა.

სულ სხვა ამბები დატრიალდა გუშინ კაცებში. ვანუთესავ არგენტინელს გასტონ გაუდიოს მაღლიც ებოძა და ზედაც მარლი. არგენტინული ფინალის ფავორიტმა ვილერმო კორიამ ისე იწყო თანამემამულის მუსვრა, რომ პარიზულ პუბლიკას გაუდიოს გასამხნეველად რამდენიმეწუთიანი ოვაციის გამართვა დასჭირდა. გასტონი ორი სეტის უიმედოდ წაგების შემდეგ გამოფხიზლდა, მესამე სეტი ალაღად მოიგო, მეოთხეში კორიას ტრავმა დაეხმარა, მეხუთეში ბედი და რამდენიმე მატჩბურთის ვადარჩენის შემდეგ მოვერცხლილი თასიც ჩაიხუტა.

კორიას კი ძალიან გაუჭირდა მარცხთან შეგუება, იმ წყეული ტრავმის გამო თასი ზომ ლამის მუქთად ჩააბარა მეტოქეს. მილოცვით კი მიულოცა და გულშიც ჩაიკრა გაუდიო, მაგრამ მერე ჩოგანი პარიზულ თიხა-მიწას დააღწეა და ბოლმით სავსემ დაიქაღნა – „მე აქ კიდევ დავბრუნდები!“

ძალიან მოლოდინშია ქართულ ფეხბურთში მოტრიალე ხალხი, 18 ივნისს დიდი ამბები მოხდებაო. პროფლიგის კონფერენციაზე იქნებ ბევრი რამ თავდაყირა დადგესო, ამბობს, მაგალითად, უმაღლესიდან პირველ ლიგაში გავარდნილი „სპარტაკის“ პრეზიდენტი როლანდ ჩხაიძე და დასძენს, გული მიგრძნობს, ახალ სეზონს ისევ უმაღლეს ლიგაში დავინყებთო. ჩხაიძის სიტყვები რომ გრძნობაზე მეტს ემყარება, იქიდანაც ჩანს, რომ ორიოდ დღის წინ „სპარტაკის“ განვრთნის სურვილით მასთან მისულ „სიონიდან“ უცნაურად წასულ თემურ მახარაძეს სამსახურზე თანხმობა უთხრა. ემზადება კაცი უმაღლესისთვის.

18 ივნისს კი შესაძლოა, მართლაც დიდი ამბები და დიდი ბუტილობა ატყდეს: აქეთათა და იქითათა შორის დაიდოს მტკიცე ზღვარი, რომელსაც ჰქვია კლუბთა ლიცენზირება და აქ კაი მსხვილი ხაზის გასმით უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ვინმეს ხუშტური და ახირება — უეფამ თითი დააქნია, ფეხბურთისავე საკეთილდღეოდ ალიკვეთოს ფეხბურთის კლუბთა უმაქნისი არსებობა და უმაღლეს დივიზიონებში იმან ითამაშოს, ვისაც ამის შნო ანუ ფული აქვსო.

ბუტიობას რაც შეეხება, ზოგი უკვე იმითაა ნაწყენი, რაც აქამდე მოხდა და კონფერენცია აღარც ადარდებს. თასის ფინალში წაგების მერე ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსობას გული ისე გასტეხია, ამათი არაფერი გვინდა, სულ წავალთ ფეხბურთიდანო.

189 რა მნაღვლევაა უეფას? ნუ იქნება ღარიბი ის, ივნისი რაც მოედანზე ხდება




როლანდ ჩხაიძე

...თემურ მახარაძეს მართლაც ვესაუბრე. ინიციატივა მისგან წამოვიდა. ძალზედ მონდომებულია, რომ სპარტაკი განვრთნას...



თემურ მახარაძე

...არაფერი მაინტერესებს, იმდენი სიბინძურე ვნახე... რაც უნდათ, ის გააკეთონ. ჩაატარონ ახლა თბილისის ჩემპიონატი. დღესვე სიამოვნებით წავიდოდი ფეხბურთიდან. არა მგონია, ხინიკაძეც სხვა აზრზე იყოს...



შელან ნანიკაშვილი

ფინიქსის ბოლო გაჩერება ლოკომოტივისთვის

ვარდების რევოლუციისას თბილისის „ლოკომოტივი“ ეკლესს წამოეგო. კლუბის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე რკინიგზის შეფობასაც ჩამოაცილეს და ორთვიანი პატიმრობის შემდეგ ბიუჯეტისთვის დამალული მილიონებიც გადაახდევინეს. იმხანად „ლოკომოტივის“ მომავალი ბურუსით იყო მოცული. კლუბმა ავად თუ კარვად შეძლო სეზონის ჩამთავრება და, ბუნებრივია, ახლაც აქტუალურია კითხვა — რა იქნება შემდეგ?

„ლოკომოტივის“ დირექტორი ლევან ყიფიანი სწორედ ამ კითხვას პასუხობს...

„ლოკომოტივი“ სალუქვაძემ, ორბელაძემ, ზირაქიშვილმა და დათვამემ დატოვეს. ჩვენი კლუბი კი კომპენსაციას მხოლოდ სალუქვაძესა და ორბელაძეში მიიღებს. ახალ ფეხბურთელებს კი ზურ სვანაძე შეაჩრევს.

— შეკრება მაინც იქნება და გემილი...

— გუნდი 11 ივნისს შეიკრიბება. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ 24 ივნისს ბულგარეთში გავემგზავრებით, სადაც ორკვირიანი შეკრება გვექნება. ფედერაცია-პროფლიგის გადაწყვეტილებით ზომ მომავალი ეროვნული ჩემპიონატი ცოტა ადრე, 24 ივლისს დაიწყება. ჩვენი შზადების გეგმაც ამის გათვალისწინებით შევადგინეთ.

— ბულგარეთში უცხოელებსაც ზომ არ გასინჯავთ?

— არა, ეს მაინც ფინანსებზეა დამოკიდებული. ჩვენ ბიუჯეტზე მყოფი კლუბი ვართ, ამიტომ პრიორიტეტები უნდა განვსაზღვროთ



ლევან ყიფიანი

— როდის გადაწყდა თქვენი კლუბში დანიშნვის საკითხი და რა თანამდებობაზე?

— რკინიგზის ხელმძღვანელობასთან, პირადად ბატონ დავით ონოფრიშვილთან და რკინიგზის კორპორაციული მართვის უფროს ვია ხუბაშვილთან საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ შპს საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ დირექტორი ვიქნებოდი. გუნდის აქციათა 100 პროცენტს კი კვლავაც საქართველოს რკინიგზა ფლობს.

— თქვენი პირველი ნაბიჯი რა იყო?

— მე და ჩემი გუნდის წევრებმა შევიმუშავეთ საკლუბო ბიუჯეტი, რომელმაც გუნდის მომავალი უნდა განსაზღვროს. ჩვენ, ფაქტობრივად, ახლა ვფუნდებთ. ფეხბურთელთა შემადგენლობის 80 პროცენტს „ლოკომოტივთან“ ხელშეკრულების კადა ამოიწურა. ბიუჯეტის დამტკიცებასაც ამიტომ ვჩქარობდით. თუ ნორმალური პირობები არ შეიქმნა, ფეხბურთელების მოყვანაც გაგვიჭირდება. არადა, ეს ძალიან რთული პროცესია. ქართულ სატრანსფერო ბაზარზე რამდენიმე კლუბის აქტიურობა შეიძინევა, ჩვენ კი ხელ-ფეხ შეკრულები ვიყავით.

— ზომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ მხრივ უკვე დაიგვიანეთ კიდევ?

— რა თქმა უნდა, დავიგვიანეთ. მომავალ გუნდზე ფიქრი ზამთრის პერიოდში უნდა დაგვეწყობა. ჩვენ ახლა ძველი გაუგებრობების აღმოფხვრა გვიწევს, შენება კი ჯერ არ დაგვიწყია. არადა, სატრანსფერო პოლიტიკა წინასწარ იგეგმება, უნდა არსებობდეს სასურველ ფეხბურთელთა სია. ჩვენ ძალიან დიდ ცაიტინგში ვიმყოფებით, ვინაიდან ყველაფრის თავიდან კეთება გვიხდება.

— თქვენი ლაპარაკიდან ისე ჩანს, რომ ჯერ გუნდის ბირთვიც კი უცნობია...

— ასეა. მხოლოდ ის ვიცი, რომ

და ეს კლუბის გაახალგაზრდავება და მასში ნიჭიერი ფეხბურთელების მოზიდვა იქნება. ჩვენ ამთავითვე ვარჩიეთ, რომ ნიჭიერი მოთამაშეები მთელ საქართველოში ვეძიოთ. სხვათა შორის, ინტერტოტოს გათამაშებაზე უარაც იმის გამო ვთქვით, რომ იქ თამაში გათვალისწინებული არ გვქონდა.

— რკინიგზის ხელმძღვანელობამ თუ განსაზღვრა „ლოკომოტივის“ საგაისო პერსპექტივები?

— ყველაფერი მაინც მოთამაშეთა იმ კონტინენტზე იქნება დამოკიდებული, რომელიც ჩვენს კლუბში მოვა. მიზანიც ამის მიხედვით განისაზღვრება.

— თქვით, საქართველოს რკინიგზა „ლოკომოტივის“ აქციათა ასი პროცენტის მფლობელია. ალბათ რკინიგზასაც და თქვენც ხელს გაძლევთ, რომ კლუბის აქციათა ნაწილი გაიყიდოს...

— სხვის შეცდომებზე ლაპარაკს

ბურთელთა ზრდა-განვითარებას უხელმძღვანელებს, გაა ფირცხალავა — ინტენსივობა, ტექნიკა, ციასთან და უეფასთან ურთიერთობის განკუთვნილ მისი კამოცილებმა ჩვენს კლუბს სასიკეთოდ წაადგება. სამწვერთელი შტაბში კი იქნებიან ზაურ სვანაძე, თემურ ჩხაიძე და მამუკა აბუსერიძე.

— დღეს ლიცენზირების თემა ძალიან აქტუალურია. „ლოკომოტივის“ სხვებზე უკეთ აქვს საქმე, გაქვთ ნორმალური სტადიონი, თუმც არ გაქვთ ბაზა და ხეირანი სავარჯიშო პირობები. ჩხაიძის დროს „ლოკომოტივის“ ბაზის ისევ კლუბისთვის გადაცემის საკითხი იდგა, ახლა რა მდგომარეობაა?

— ვიცი, რომ აკაკი ჩხაიძეს გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ „ლოკომოტივის“ ბაზიდან დევნილთა გაყვანა და მისი რეკონსტრუქცია სურდა. ეს საკითხი ახლაც ძალაშია. ჩვენი ბაზა რკინიგზის საკუთრებაა და ალბათ ამ საქმის მოგვარება არ უნდა გაჭირდეს ამით კლუბს ბევრი პრობლემა მოესწება. თუმცა მანამდე „ლოკომოტივის“ სავარჯიშო მოედნის მოწესრიგება სჭირდება. სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება ჩვენთვის ახლა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

— თქვენ ეროვნული ჩემპიონატის ახლებური სისტემით ჩატარების წინააღმდეგი იყავით, რომელი ვარიანტი მოგაჩნიათ ოპტიმალურად?

— 12 გუნდის სამწვირთ ჩემპიონატს კატეგორიულად ვუწინააღმდეგებოდი. სამაგიეროდ, მომხრე ვარ, 12-მა გუნდმა ჩემპიონატში ოთხი წრე ითამაშოს. ამ ვარიანტს რამდენიმე კლუბმა, „თბილისმა“, „ბათუმმა“, „დილაშ“ დაუჭირა მხარი. „ვიტ ჯორჯიამ“ კი თავი შეიკავა. ვნახოთ, ამ ვარიანტმა შეიძლება მართლაც გაამართლოს და 10 გუნდამდე შემცირება სჭირიც არ ვახდეს.

დავით ქააძი

„ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ და „თბილისი“ — სამი თბილისური კლუბი შუაგულ ზაფხულიდან უეფას პრესტიჟულ ევროტურნირებში ჩაებება. მოგესვენებათ, ვეტერინარები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ, „დინამოს“ და „თბილისს“ კი უეფას თასზე მოუწევთ ძაღების მოსინჯვა.

აქ არაფერი გვითქვამს გორის „დილაზე“, რომელიც ინტერტოტოს თასზე ითამაშებს და, როგორც მბათის „სარბიელში“ ვწერდით, ამ კლუბისთვის მეტოქეებიც და სათამაშო დღეებიც უკვე გარკვეულია.

აი, თბილისელებს კი ჯერაც ლოდინი უწევთ. უეფა უახლოეს დღეებში გვამცნობს მათ სავარაუდო მეტოქეებს. მანამდე კი ევროპული ფეხბურთის მამების მიერ დადგენილ სათამაშო თარიღებს ვთავაზობთ.

გამორიცხული არაა, უეფას თასზე მოთამაშე „დინამოს“ და „თბილისს“ ერთსა და იმავე დღეს მოუწიოთ საშინაო მატჩების გამართვამ, რაც, ცხადია, ორივე გუნდს მოაკლავს ქომაგს, თუმცა წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ამის თავიდან აცილება სასურველი შესაძლებელია. უბრალოდ, უეფას სარეზერვოდ ორი დღე აქვს გამოყოფილი და წილისყრის დასრულებისთანავე მომავალ მეტოქეებთან მოლაპარაკება პრობლემა არ უნდა იყოს.

კახა შალაგზიძე

306 ივლის ივლისის მერე?

ჩემპიონთა ლიგა	
2004-2005. კალენდარი	
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი	
პირველი მატჩები 14 ივლისი, 2004	საპასუხო 21 ივლისი, 2004
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი	
პირველი მატჩები 28 ივლისი, 2004	საპასუხო 4 აგვისტო, 2004
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი	
პირველი მატჩები 10-11 აგვისტო, 2004	საპასუხო 24-25 აგვისტო, 2004
ჯგუფური ეტაპი	
პირველი ტური 14-15 სექტემბერი, 2004	მეოთხე ტური 2-3 ნოემბერი, 2004
მეორე ტური 28-29 სექტემბერი, 2004	მეხუთე ტური 23-24 ნოემბერი, 2004
მესამე ტური 19-20 ოქტომბერი, 2004	მეექვსე ტური 7-8 დეკემბერი, 2004
მარვედფინალი	
პირველი მატჩები 22-23 თებერვალი, 2005	საპასუხო 8-9 მარტი, 2005
მართხადფინალი	
პირველი მატჩები 5-6 აპრილი, 2005	საპასუხო 12-13 აპრილი, 2005
ნახევარფინალი	
პირველი მატჩები 26-27 აპრილი, 2005	საპასუხო 3-4 მაისი, 2005
ფინალი	
სტამბოლი (თურქეთი), 25 მაისი, 2005	

უეფას თასი	
2004-2005. კალენდარი	
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი	
პირველი მატჩები: 15 ივლისი, 2004	საპასუხო: 29 ივლისი, 2004
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი	
პირველი მატჩები: 12 აგვისტო, 2004	საპასუხო: 26 აგვისტო, 2004
პირველი რაუნდი	
პირველი მატჩები: 16 სექტემბერი, 2004	საპასუხო: 30 სექტემბერი, 2004
ჯგუფური ეტაპი	
პირველი ტური: 21 ოქტომბერი, 2004	მეორე ტური: 4 ნოემბერი, 2004
მესამე ტური: 25 ნოემბერი, 2004	მეოთხე ტური: 1-2 დეკემბერი, 2004
მეხუთე ტური: 15-16 დეკემბერი, 2004	
მეთამხმეადფინალი	
პირველი მატჩები: 16-17 თებერვალი, 2005	საპასუხო: 24 თებერვალი, 2005
მარვედფინალი	
პირველი მატჩები: 10 მარტი, 2005	საპასუხო: 16-17 მარტი, 2005
მართხადფინალი	
პირველი მატჩები: 7 აპრილი, 2005	საპასუხო: 14 აპრილი, 2005
ნახევარფინალი	
პირველი მატჩები: 28 აპრილი, 2005	საპასუხო: 5 მაისი, 2005
ფინალი	
ლისაბონი (პორტუგალია), 18 მაისი, 2005	

22 წლის დავით სირაძე დამდეგი სეზონიდან ტრიონის „ანტრახტი“ ითამაშებს — ამის შესახებ წინა „სარბიელში“ ვაუწყებთ. ახლა კი სირაძე თბილისშია და ახალ გუნდს მოსამზადებელი ეტაპისთვის თვის ბოლოს შეუერთდება.


სირაძე ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ „ლოკომოტივი“ თამაშით გაიცნო — ძლიერი დარტყმა, თავით კარგად თამაში, ნათელი გონება, კარგი აღნაგობა და ნებისმიერი ტემპის აყოლა — ყველაფერმა ამან სირაძეს საშუალება მისცა, ჯერ ბერლინის „უნიონში“ გადასულიყო, ახლა კი „ტრიონის“ ჯერია, რომელიც პირველ ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს.

როცა სირაძე საქართველოში თამაშობდა, მას ხშირად ლოკომოტიველთა ბაღაკს ვუნდებდით და ვინ იცის, იქნებ დათომ მალე პირველი ბუნდესლიგაც დააგემოვნოს.

— „ტრიონის“ გარდა ჩემით კიდევ სამი გუნდი იყო დაინტერესებული — „ნიუნბერგი“, „კარლსრუე“ და „ობერჰაუსენი“. ყველამ „ტრიონი“ მირჩია და მეც ამ გუნდში გადასვლა გადავწყვიტე, თანაც „ტრიონის“ მთავარი მწვრთნელი პაულ ლინცი ძალიან იყო დაინტერესებული ჩემი ტრანსფერით და ხშირად მირეკავდა. როცა ყველაფერზე შევთანხმდით, სალაპარაკო ისლა დარჩა, რომელი ნომრით ვითამაშებდი „ტრიონში“. მე ვთქვი, 24-ს ან 20 ნომერს ავარჩევ, რადგან ამ ნომრებით ადრეც მითამაშია-მეთქი. ლინცმა კი, რას

თავი, ჯანი და დრიბლინგი

სირაძის ვერდარში გადასვლა მიულოცავს



დავით სირაძე

ამბობ, მენტვის 10 ნომერი მაქვს გადანახული და მეც დაეთანხმდი. — „უნიონში“ გატარებულ ნახევარ სეზონზე რას იტყვით? — „უნიონში“ რომ მივედი, ცოტა არ იყოს, მოუმზადებელი ვიყავი, მაგრამ გუნდის მწვრთნელმა მიროსლავ ვოტავამ ვარჯიშებითა და შეცვლებზე თამაშით თანდათან შემამზადა მეორე ბუნდესლიგისთვის. შემდეგ გუნდი ალექსანდრ რისტიჩის ჩააბარეს, ვინც ყოველთვის ძირითადში მათამაშებდა მარჯვენა ნახევარმცველად. რისტიჩის დროს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ დასანანი ქულები

დაგკარგეთ და „უნიონი“ მაინც გავარდა მეორე ბუნდესლიგაში. — რა შეგიძინა მეორე ბუნდესლიგაში გატარებულმა ნახევარმა სეზონმა? — ჯანზე მოვედი, ფიზიკურად უფრო მოვლნიერი და გაცივებული ვარა ვარა, მაგრამ გუნდის მწვრთნელი ფეხბურთი. კიდევ, ყოველი თამაშის შემდეგ გულშემატკივართა გამოკითხვა ტარდებოდა, თუ ვინ იყო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი და მონაცემები მომდევნო თამაშის პროგრამაში ქვეყნდებოდა — რისტიჩის დროს სულ სამეულში ვიყავი ბაუმგარტთან და სობოციკთან ერთად.

— როგორ ფიქრობ, ყველაზე უფრო რით მოახერხე გულშემატკივართა ასეთი სიმბიოზის მოპოვება? — დრიბლინგით და თავით თამაშით. ვოტავას დროს „უნიონი“ უფრო დაცვით ფეხბურთს თამაშობდა, რისტიჩის სტილი კი ძალიან შემტევი იყო და ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობდით, როცა ვაგებდით, გულშემატკივარი მაინც ტაშს გვიკრავდა. — აღენ უჩივრებოდა ეროვნულ ნაკრებში ორჯერ მიგიწვია — ისრაელთან შეცვლაზე რომ გათამაშა, რა დაგალება მოგცა? — უჩივრებოდა, რომ გერმანიაში მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობდი და მითხრა, ფლანგზე ითამაშე და საკუთარ თავზე ბევრი აიღეო. საერთოდ კი, ფეხბურთელებს გვეუბნებოდა, მომავალში უფრო დავლაგდებით, ყველაფერი უკეთესობისკენ წავაო. — მარჯვენა ნახევარმცველის პოზიცია კარგა ხანია, პრობლემატურია ჩვენი ნაკრებისთვის, თუკ შენ ადრე შეტევილად ნახევარდაცვის ცენტრში ან თავდასხმაში გიწვევდა თამაში... — ჩემი მარჯვენა ფლანგელობა რისტიჩის დამსახურებაა, მის ხელში ამ პოზიციაზე, ასე ვთქვათ, გავიხსენი. ჩემს მოსურნე სხვა გუნდებსაც რისტიჩი კარგ რეკომენდაციებს აძლევდა ჩემზე. — ვოტავაზე კი კარგს არაფერს იტყვით? — „უნიონიდან“ წასვლის შემდეგ ვოტავა ბრემენის „ვერდერის“ სელექციონერი გახდა. ამას წინათ ერთ-ერთი უნიონელი თანაგუნდელი მოვიდა ჩემთან და „ვერდერში“ გადასვლას მილოცავს. ის გაზეთი კი მანახა, სადაც ეწერა, რომ სირაძე „ვერდერში“ გადადისო. როგორც შემდეგ შევიტყვე, ასეთი ლაპარაკი მართლაც ყოფილა ვოტავასა და „ვერდერის“ მწვრთნელ

თომას შაფს შორის თემც შაფს უთქვამს, ამ ეტაპზე ამ ფეხბურთელის ტრანსფერისთან დაკავშირებით. — ვოტავა „ვერდერს“ მაშინ კაპიტნობდა, როცა ბრემენელები თბილისში 1987 წელს ჩამოვიდნენ „დინამოსთან“ სათამაშოდ... — ვოტავამ არაერთხელ გაიხსენა ეს ამბავი და „დინამო“ შეაქო. სხვათა შორის, თბილისში რისტიჩიცაა ნამყოფი — 1978 წელს ის „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელის თანამშემწე იყო. რისტიჩი მთელ „უნიონს“ ეუბნებოდა, „დინამო“ მაშინ ძალიან მაგარი გუნდი იყო და ძალიან მაგარი ფეხბურთელებიც ჰყავდაო — ჩივამე, დარასელია, შენგელია, ყიფიანი... — ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად გერმანიაში ახლა ვის მიიჩნევენ? — ბასტიან შვინსტიკერს. გერმანელებს ძალიან კარგი ახალგაზრდული ნაკრები ჰყავდათ, რომლის ძალა ჩვენც გამოვცადეთ. — გერმანიაში ცხოვრებას ადვილად შეგეგუე? — მე და „უნიონის“ სლოვაკი ფეხბურთელი ტომას ბრუმკო ბერლინში ერთად ვცხოვრობდით. თავისუფალ დროს კაფეში დაედლიოდით ან კონცერტზე. გერმანიიდან შინ წამოსვლა აღარ მინდოდა, გერმანელები ძალიან მშვიდად და მოწესრიგებულად ცხოვრობენ. — პირველ და მეორე ბუნდესლიგებს შორის პირობების მხრივ დიდი სხვაობაა? — არა, და მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ზოგიერთ ფეხბურთელს ზოგიერთ პირველბუნდესლიგაზე უკეთესი ხელფასიც აქვს. გერმანელები კლუბები ფინანსურ სირთულეებს არ განიცდიან, „ტრიონსაც“ არანაირი ფინანსური პრობლემა არ აწუხებს.

დავით თავართილაძე



ორი ვარსკვლავი ქართული ფეხბურთის

ჩემპიონი შერიფელები, მურთაზ ბურნაძე (ზედა რიგი, მარცხნიდან პირველი) და ვაჟა თარხნიშვილი (ქვედა რიგი, მარცხნიდან მეორე)

გურჯაბი ინტერტოტოსის ეფსი ქართული ჯანაბაიჯანულ გუნდში
თბილისის „ლოკომოტივის“ ორი ფეხბურთელი, დავით დათვაძე და ზაზა ზირაქიშვილი მომავალ სეზონში აზერბაიჯანში ითამაშებს. ზირაქიშვილი და დათვაძე ბაქოს „ხაზარუნევერსიტეტთან“ მოაწვირენ ხელს — ამ გუნდმა წინა სეზონში ინტერტოტოს საგზური მოინაგრა. „ხაზარუნევერსიტეტს“ ახალი სეზონისთვის ახალი სპონსორი გამოუჩნდა, აზერბაიჯანის ერთ-ერთი შეძლებული ბანკი და შესაძლოა,

აღენ უჩივრებს თანამშემწის ვია გურულის ვაჟი, სანდრო, საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონთან“ ხვალ-ზევ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს უმცროსი გურული წინა სეზონში სამჯერ იყო ლიონელებთან გასასინჯად და ქვეყნის ზედიზედ სამჯერს ჩემპიონებს თავი ისე მოაწონა, რომ კონტრაქტი გაამზადებინა. ვია გურულს საფრანგეთიდან თბილისშიც კი დაუკავშირდნენ საქართველო — ისრაელის მატჩის წინაღობებში, კონტრაქტის გასაფორმებლად გელითო. სანდრო გურულს, სარეზერვო გუნდში თამაშის პარალელურად წლეულსვე აქვს შანსი, მთავარ გუნდში

იტალიური „მილანისა“ და კახა კალაძის დარად, ჩემპიონობით დაასრულეს სეზონი ტირასპოლის „შერიფმა“ და თარხნიშვილ-ბურნაძის დუეტმა. ამგვარად, 2003-04 წლების სეზონი ევროპაში მოპოვებულ ქართველთაგან ოდენ სამისთვის გამოდგა მოქოროვილი. „შერიფმა“ მოლდოვის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მაჩანჩალა „აგრო“ სტუმრად 2:0 დაამარცხა და ჩემპიონობა გაინაღდა, რადგან კონკურენტ „ნისტრუს“ შვიდი ქულით უსწრებს. ასე რომ, ტირასპოლელები ზედიზედ მეოთხედ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები. ეს მეოთხე მოლდოური ტრიუმფია „შერიფის“ ქართველ კაპიტან ვაჟა თარხნიშვილისთვისაც, რომელსაც დენსტრისპირეთში დიდ პატივს სცემენ. აი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი მურთაზ ბურნაძე კი ამ საქმეში ახალბედაა, „შერიფში“ ამ ზამთარს გადავიდა და პირველივე სეზონში შეძლო ტიტულის მოგება. ბოლოს კი დავძინით, რომ „შერიფი“ ერთ-ერთი იმ კლუბთაგანია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შესაძლოა, თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“ დაეჯახოს.

კახა ზალაგაბერიძე

უზბეკის გურული ლიონი სტოლის დამთავრებამდე ჩამოიხსნა
ითამაშოს. მამამისის თქმით, ყველაფერი თავად სანდროზეა დამოკიდებული. თუ ის ისევე ითამაშებს, როგორც „ლიონში“ გასინჯვისას, არაა გამორიცხული, იმ წლის ბიჭი ჯოვანი ელბერის, სიდნი გოფუს, უნიონი პერნამბუკანოსა და სხვა ვარსკვლავების მხარდამხარ ვიხილოთ. „ლიონში“ გასასინჯად მყოფმა სანდრო გურულმა სარეზერვოებში სამჯერ ითამაშა და რვა გოლი გაიტანა, ერთხელ სულაც ერთბაშად ხუთი, როცა მისმა გუნდმა 8:4 მოიგო. ერთხელაც „ლიონის“ სარე-

კობა ინასარიძე

ამხანაგური მატჩები



რუბენ ბარახას მეორე გოლი

ფერნანდო ტორესი გოლები არ მოგვაკლო, ლმერთო

ინაკი საეისის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავ ფერნანდო ტორესს ანდორასთან ამხანაგურ მატჩში გოლი არ გაუტანია, მაგრამ მეორე ტაიმში ლამაზი და რაც მთავარია, სასარგებლო თამაშით დაამტკიცა, რომ შეუძლია, ევრო 2004-ის ერთ-ერთი გმირი გახდეს. „ელ ნინიომ“ ესპანურ „ლიბრედი-რეკტოსთან“ ინტერვიუში თქვა, ღმერთს ვევედრები, პორტუგალიის ჩემპიონატზე გოლები არ მოგვაკლოსო



ესპანეთი 4:0 ანდორა
1:0 მორიენტესი (25), 2:0 ბარახა (45), 3:0 სესარი (65), 4:0 ვალერონი (89)
ესპანეთი: კასილასი (კანისარესი 31; არანსუბია 62), პუილი (გაბრი 46), ელგერა (სესარი 46), მარჩენა (ხუანიტო 46), რაულ ბრავო (კამდევილა 46), ერეხერია (ხოაკინი 46), ბარახა (ხაბი ალონსო 46), ალბელდა (ხავი 46), ლუკე, რაული (ვალერონი 46), მორიენტესი (ტორესი 46)
მწვრთნელი: ინაკი საეისი
მსაჯი: მატეო ტრეფოლონი (იტალია)
14 000 მაყურებელი
პორტუგალიაში გამგზავრების წინ ესპანეთის ნაკრებმა ბოლო ამხანაგური მატჩი ხეტაფეში, ანდორასთან გამართა და 4:0 მოიგო. ცხადია, ანდორის დამარცხება, თუნდაც დიდი ანგარიშით, ჯერ კიდევ არააფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ ესპანელებმა კარგად ითამაშეს და ევროპის

ჩემპიონატზე უგუნებოდ არ მიდიან. ამ მატჩში ანგარიში მონაკოელმა ფერნანდო მორიენტესმა გახსნა. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე სტუმართა მეკარე კოლდომ პენალტი კი მოიგერია, მაგრამ რუბენ ბარახამ დამატებაზე მაინც გაიტანა. მეორე ტაიმში ინაკი საეისმა თითქმის მთლიანად შეცვალა ძირითადი შემადგენლობა, ისე, რომ მაქსიმალურად ბევრ ფეხბურთელს შესძლებოდა თამაში. კაცმა რომ თქვას, მეორე შემადგენლობამ პირველზე არანაკლებ ითამაშა, უკეთესად თუ არა და ანდორელებს კიდევ ორი გოლით გაუმასპინძლდა. მცველმა სესარმა ოციოდე მეტრიდან საჯარიმითი გაიტანა, ბოლოსკენ კი ხუან კარლოს ვალერონმა ეფექტური სოლო რეიდი მეოთხე გოლით დაასრულა.

— როგორ შეაფასებთ ანდორასთან მატჩს?
— მწვრთნელის ყველა დავალება კარგად შევასრულეთ, თუმცა თავისთავად ცხადია, რომ ანდორასნაირ სუსტ გუნდთან ნაკრების რეალური ძალა სრულად ვერ გამოჩნდებოდა. შედეგით კმაყოფილები ვართ, მაგრამ მთავარი საქმე წინაა — ევროპის ჩემპიონატზე ღირსეული გამოსვლა. იმედია, გათვალისწინებულ სირთულეებს არ წავეწყვებით.
— ანდორელებთან შეხვედრის პირველ წუთებში ყველასთვის მოულოდნელად გაგვიჩრდათ...
— გეთანხმებით. ყოველთვის რთულია, როცა უცნობ მეტოქეს

ეთამაშები და რომლის ერთადერთი მიზანი ისაა, რომ რაც შეიძლება, ნაკლები ანგარიშით წააგოს...
— ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩი რუსებთან გაქვთ. თავს მშვიდად გრძნობთ?
— საკუბით. ანდორასთან მატჩში მე ერთიანი, მტკიცე ესპანეთის ნაკრები დავინახე, რომელსაც, ანდორასნაირ სუსტებს რომ შევეშვათ, ნებისმიერი დიდი ევროპული გუნდის დამარცხება შეუძლია. არც მე და, დარწმუნებული ვარ, არც ჩემი რომელიმე თანაგუნდელი რუსებთან შეხვედრის წინ განსაკუთრებით არ ენერვიულობთ.
— ევრო 2004-ის წინ რაიმე ნატვრა თუ გაქვთ?

— ღმერთს შევეთხოვ, მოწინააღმდეგის კარი მრავალჯერ დავლაშქროთ. თუმცა არ არის აუცილებელი, ბურთები მაინცდამაინც მე გავიტანო.
— ჯერჯერობით თქვენი ნაკრები ამ პრობლემას არ განიცდის — სესარისა და ბარახას გოლების მერე ცხადი გახდა, რომ მეტოქის შეწყუბება თავდამსხმელთა გარდა სხვა პოზიციებზე მთამაშე ფეხბურთელებსაც შეუძლიათ...
— გოლის გატანა ჩვენთან თითქმის ყველას ერთნაირად კარგად გამოსდის, ეს კი, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი რამაა. ასე რომ, პორტუგალიაში დიდი წარმატების მიღწევის იმედად მივდივართ.

ჰოლანდია 0:1 ირლანდია
0:1 რობი კინი (45)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი (პეიტინგა 46), სტამი, ბუმა (ვან პოიდონგი 84), ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი (ვან დერ მეიდე 46), კოკუ, დევიდსი (რობენი 66), ვან დერ ვაარტი, კლუივერტი (ზედდორფი 21; ბოსველტი 63), ვან ნისტელროი (მაკაი 66)
მწვრთნელი: დიკ ადვოკატი
მსაჯი: შაიკ დინი (ინგლისი)
45 500 მაყურებელი
ევრო 2004-ის დაწყებამდე ერთი კვირაც აღარ დარჩა, ჰოლანდიამ კი მეორე ამხანაგური მატჩი წაა-

რა ხდება ჰოლანდიაში? ზეედორფი უპიდა და გავიდა

გო. ჯერ ბელგიასთან დამარცხდა 0:1, ხოლო აძვირად ირლანდიასთან. რობი კინმა პირველი ტაიმის მიწურულს შორიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა, რასაც „ნარინჯისფერებმა“ უსუსურად უპასუხეს. მასპინძლები შეტევაში უხეიროდ თამაშობდნენ, ერთადერთი რე-

ალური მომენტი როი მაკაის მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ჰქონდა. „ბაიერნი“ ფორვარდის თავდაკრული ბურთი შეიგვიქნა მოიგერია, რომელმაც ნაკრებში მე-60 მატჩი მიითვლა. აღსანიშნავია, რომ ბელგიასთან წაგებულ შეხვედრაშიც მწვრთნელმა რუედ ვან ნისტელროი და პატრიკ კლუივერტი გაამწევა ძირითად შემადგენლობაში. დიკ ადვოკატმა მუქთად მოყიად კლუივერტი შესვენების შემდეგ კლარენს ზეედორფით შეცვალა, ხოლო ვან დერ ვაარტი ვან ნისტელროის მიანხმარა. ამ ხერხითაც არაფერი გამოვიდა. ენდი ვან დერ მეიდემ და არიენ რობენმა ფლანგები კი დათხარეს, მაგრამ ირლანდიელმა ცენტრალურმა მცველებმა მასპინძლები ჰაერში დაჩაგრეს. შესვენებიდან 18 წუთში ზეედორფს კუნთი დაეჭიმა და შესაცვლელი გახდა, რამაც „ნარინჯისფერთა“ შუახაზს სიმძლავრე მოაკლო. ნამატჩევს დიკ ადვოკატმა თქვა: „ჩვენ ძალიან სუსტად ვითამაშეთ და აშკარაა — გუნდი სათანადო ფორმისგან შორსაა. კლუივერტმა და ვან ნისტელროიმ გამაწბილეს, მაგრამ ნახევარმცველებიც უნიათოდ გაისარჯნენ. ზეედორფს მუხლი აწუხებს და ვიმედოვნებ, რომ გამოკეთდება.“



დაბრუნებული სანი ჰენრიკ ლარსონი

შვედეთი 3:1 პოლონეთი
1:0 ლარსონი (41), 2:0 იაკობსონი (54), 3:0 ოლბოკი (72), 3:1 გორაკსი (89)
შვედეთი: ისაკსონი, ნილსონი, იაკობსონი, მელბერგი (მიალბი 63), ედმანი, ვილჰელმსონი (ფარნერუდი 75), ლინდეროტი (ოსტლუნდი 64), კალსტრომი (იონსონი 64), ლიუნგბერგი (ანდერსონი 64), იბრაჰიმოვიჩი (ა. სვენსონი 64), ლარსონი (ოლბოკი 64)
მწვრთნელები: ტომი სოფერბერგი და ლარს ლაგერბეკი
მსაჯი: ალან კელი (ირლანდია)
28 281 მაყურებელი
შვედები მთელი მატჩის განმავლობაში ჩაგრავდნენ მეტოქეს და იოლად იმარჯვეს. ნაკრებში დაბრუნებულმა ჰენრიკ ლარსონმა ფანები კვლავ გაახარა თავისი გოლით, რომელიც 25-ე გა-

მოღვა 75 მატჩში „სელტიკის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჰედმანის პასით ტაიმის მიწურულს გახსნა ანგარიში, მანამდე კი ლუდეკს რამდენჯერმე მოუწია ბურთის მოგერიება. მეორე ნახევრის დასაწყისში ანდრეას იაკობსონმა კუთხურიდან ჩაწოდებულზე იხვირა, ხოლო მესამედ სტუმართა მეკარე შეცდა. დუდეკმა უშნოდ მოუქნია ფეხი ბურთს, რომელიც იქვე მყოფ მარკუს ოლბოკს მიუგორდა და „ასტონ ვილას“ ფორვარდმა საჩუქარი შეირგო. პოლონელთაგან ერთი საპასუხო გოლი შეცვლაზე შესულმა დამიენ გორაკსიმ თავურით გაიტანა.



რობი კინის ჩვეული საგოლე მაღაყი

ვაჟა ხუციშვილი



პანანაგური მატჩები

უინ რუნის დუბლადლობა



სვენ გორან ერისკონი მკაფიო დარჩა

ინგლისი 6:1 ისლანდია
1:0 ლამპარდი (25), 2:0, 3:0 რუნი (27, 38), 3:1 ჰელგუსონი (42), 4:1 ვასელი (57), 5:1 ბრიჯი (68), 6:1 ვასელი (77)
ინგლისი: რობინსონი (უოქერი 62), გ. ნევილი (ფ. ნევილი 46), კემპბელი (კინგი 46), კარაგერი (დფო 84), ე. კოული (ბრიჯი 46), ბექემი (პარგ-რიფი 46), ჯერარდი (ჯ. კოული 46), ლამპარდი (დაიერი 46), სქოულზი (ბათი 46), ოუენი (ჰესკი 46), რუნი (ვასელი 46)
მწვრთნელი: სვენ გორან ერისკონი
მსაჯე: იან ვეგერეფი (პოლანდია)
40 000 მაყურებელი

სათავისო დოპინგი ინგლისშიც მიიღო — მანჩესტერში ისლანდია გამოიჭირა და თითო ტაიმში სამსამი გაუტანა, უინ რუნი და და-

რიუს ვასელმა კი დუბლი შეასრულეს.

სვენ გორან ერისკონმა შესვენებისას ცხრა ფეხბურთელი შეცვალა და ინგლისის სათადარიგობაც იყობა ჩაღეს. ხოლო უინ ბრიჯმა პირველი სანაკრებო გოლი მიითვალა.

შვედის არჩევანმა — ჯერარდი და ლამპარდი ნახევარდაცვის ცენტრში — იაპონიასთან ვერა, მაგრამ ისლანდიასთან აშკარად გაამართლა.

ღვივ ბექემი ჰოსპიტალში გააქანეს ზურგიდან კისტის მოსაშორებლად, თუმც საშიში არაფერი ყოფილა — ექიმმა ნამატჩევს ფანებს აუწყა, საღ-სალამათი ბექემი სვალ ნაკრებთან ერთად იქნება.

მეკარე ღვივსმა საიმედოდ ითამაშა, ხოლო მცველებმა, ჯონ ტერის მეთაურობით, მწვრთნელის ქება დამსახურეს. ძირითადი თერთმეტეული ერისკონს მოეწონა და არც შემცვლელს დააკლო ხოტბა.

პოლ სქოულზმა და ფრენკ ლამპარდმა თავშივე თითო მომენტი გააცუდეს, მაგრამ ლამპარდმა მომდევნო ცდაზე ანგარიში გახსნა.

უინ რუნიმ ფეხის მოხდენილი წაწყაუნებით არასონი მეორედ დამწუხრა, მერე კი 25 მეტრიდან შეჭედა ბურთი კარში. „ვევერტონის“ ყმაწვილკაცს 13 მატჩში უკვე ხუთი სანაკრებო გოლი დაუგროვდა.

მეორე ტაიმის ოცწუთიან მონაკვეთში ისლანდიელთა კარის ბაღე კიდევ სამჯერ აფართხალდა. დარიუს ვასელმა მცველის მოგერიებულს ზუსტად დაამატა, უინ ბრიჯმა ემილ ჰესკის პასით შეაგდო, ხოლო სტუმართა რბევა ვასელმა კოხტა გოლით დაასრულა.

„იაპონიასთან თუ 30 წუთის განმავლობაში ვაჩვენებთ კარგი ფეხბურთი, ამჯერად მთელი მატჩის მანძილზე შესანიშნავად ვითამაშეთ. ჩვენ 4-4-2 სქემა გამოვიყენეთ და საკმაოდ შედეგიანად. რაიმე განსაკუთრებულ პრობლემას გუნდში ვერ ვხედავ. სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და შეტევებშიც შეძლებისდაგვარად ერთვებოდნენ. ძალიან მომეწონა სათადარიგობი, ვასელის გოლები და ჰესკის თამაში. კარგია, რომ ბიჭებმა, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში არ არიან, ასე მოინდომეს“ — თქვა სვენ გორან ერისკონმა.

უინ რუნი არანაკლებ გახარებული იყო: „ეროვნულ გუნდში თამაში ხომ თავისთავად საამოა, მაგრამ ორი გოლის გატანა მთლად გადასარევი ამბავია. პირველისთვის გარი ნევილს, მეორესთვის კი პოლ სქოულზს ვუხედი მადლობას. დღეს ვაჩვენეთ, რომ პორტუგალიაში ძალიან ძლიერი ნაკრები მიგვაყვას“.

გაბა ხუციშვილი



უინ რუნი



ლიტველებმა სიმას მიწა გამოაცალეს

პორტუგალიამ დაამთავრა სკოლარის ორი თამი და ორი ფეხი

პორტუგალია 4:1 ლიტვა
1:0 კოტუ (3), 2:0 პაულეტა (13), 2:1 ვენცევიჩიუსი (74), 3:1 ნუნუ გომეში (81), 4:1 პოსტიგა (90)

პორტუგალია: რივარდუ, პ. ფერეირა (მ. მონტიერო 57), ფ. კოტუ (რ. კარვალუ 46), ფორფე ანდრადე (ბეტუ სვერუ 70), რუი ფორფე (ნუნუ ვალენტე 46), ფიგუ (კ. რონალდო 64), კოშტინია (ტ. მენდეში 64), პეტრტი (მანიშე 46), რუი კოშტა (დეკო სოუზა 46), სიმას (ნუნუ გომეში 46), პაულეტა (პოსტიგა 59)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
მსაჯე: ლუკ ვილმსი (ლუქსემბურგი)
30 000 მაყურებელი

ევრო 2004-ის მასპინძლებმა ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო ამხანაგური მატჩი გამართეს და ლიტველებს სეტუბალში მოუგეს.

პორტუგალიელები მეცამეტე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ და გოლს მოწყურებული ქომაგები მალევე დაოკდნენ.

ლუიშ ფიგუ კუთხურის ნიშ-

ნულთან ფინტებს პასი მიაყოლა და ფერნანდო კოტუმ თავით გახსნა ანგარიში.

პედრუ პაულეტამ კი მეკარე რივარდუ პერეირასგან მიიღო ბურთი და მობერებულ გინტარას სტაუნეს მეორე გაუტანა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაანიავეს.

შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულებმაც გაიხარეს. ნუნუ გომეშმა მეტოქის საჯარიმოში იოლად მიღებული ბურთი დაამგერა კარში, ხოლო „ტოტენჰემის“ ლეგიონერმა, ელდერ პოსტიგამ უკვე მსაჯის მიერ დამატებულ დროში მიგელ მონტიერუს პასი დაუფასა.

ლიტველებმა დონატას ვენცევიჩიუსმა პენალტით გაუტანა რივარდუს მას შემდეგ, რაც ბეტო სვერომ პოშკუსი ხელით გაჩერა და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა.

ოლსენი პირველ ტაიმში შეუძინდა როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი

დანია 1:2 სლოვაქია
0:1 შოკოტა (27), 0:2 ოლიჩი (39), 1:2 სანდი (56)

დანია: სორენსენი, პელეგრი, ლაურსენი, პენრიკსენი (კროლდრუმი 69), ნ. იენსენი (ბოგელუნდი 87), გრონკიერი (ლოვენგრანდსი 83), კ. იენსენი (სანდი 46), დ. იენსენი (კ. პერსი 46), კ. პოულსენი, რომედალი (გრავესენი 46), ტომასონი (პ. მაღსენი 73)
მწვრთნელი: მორტენ ოლსენი
სლოვაქია: პლეტიკოვა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, პ. ფიგოვიჩი, შიმიჩი (ტომაში 72), ბიელიცა (ტოკიჩი 89), ოლიჩი (როსო 65), მორნარი (კლასნიჩი 46), ნ. კოვაჩი, პრსო (სრნა 46), შოკოტა (ნერეტლიაკი 89)
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი
მსაჯე: ფრიც შტუბლიკი (ავსტრია)
30 843 მაყურებელი

გამშავებულმა მორტენ ოლსენმა ებე სანდი, კენეტ პერესი და ტომას გრავესენი შეუშვა მოედანზე. გრავესენის მეცადინეობით „ვიკინგებმა“ მოედანი დაიპყრეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ იხვირეს. ებე სანდს პლექტიკოვამ ერთხელ აჯობა, მეორედ კი ფორვარდმა იყოჩაღა და ანგარიში სხვაობა შეამცირა.

მორტენ ოლსენმა ნამატჩევს განაცხადა: „პირველი ტაიმი იმის მაგალითი იყო, თუ როგორ არ უნდა

ვითამაშო. ასე თუ გავაგრძელებთ, პორტუგალიაში არაფერი გვესაქმება, მაგრამ, საბედნიეროდ, მეორე ნახევარში გუნდი გამოსწორდა და ისეთი ფეხბურთი აჩვენა, რომლითაც ჯგუფში სამივე შეხვედრის მოგებაც კი შეიძლება“.



ოტო ბარიჩი: „წლუულს რამდენიმე კარგი მატჩი გავმართეთ, თუმც დანიელებთან პირველი ტაიმი საუკეთესო იყო“.

გაბა ხუციშვილი



ნიკო კოვაჩის ხორვატამ ზედხედ მესამე ამხანაგური მოიგო

სუთასად კაცი დაფასდა



ბანრიზი
14 0360ს0
ლესაბონი. „ყოზე ალვალადე“. 23.45
მკადატი - ბულგარეთი
18 0360ს0
ბრავა. „მუნისიპალი“. 21.00
ბულგარეთი - დანია
22 0360ს0
გიმარაში. „ავონსო ენრიკეში“. 23.45
იტალია - ბულგარეთი

ბულგარელებმა იციან, რომ ჩემპიონობის უმცირესი შანსი აქვთ. ამიტომ, მსოფლიოს 1994 წლის მუნდიალის ნახევარფინალისტები თავის შესაძლებლობებს რეალურად აფასებენ. მწვრთნელ პლამენ მარკოვის თქმით, მთავარია მისმა გუნდმა ღირსეულად ითამაშოს. „ბულგარეთი ნაღდად არაა ჯგუფის ფავორიტი. პატარა საფეხბურთო ქვეყნიდან ვართ და ჩვენთვის დიდი პატივია, ამ დონის შეჯიბრში მონაწილეობა კი, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ, რათა რაც შეიძლება უკეთეს შედეგს მივაღწიოთ“. მარკოვმა ბევრი იშრომა, ნაკრები გადააზარა და სათამაშო სტილი შეცვალა, უმთავრესი კი ისაა, რომ 2002 წლის მუნდიალის მიღმა დარჩენილ გუნდს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა.

ბულგარელები, ევრო 2004-ის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლამ ეიფორიაში ჩააგდო, გასულ თებერვალს ბერძნებთან მარცხმა კი ისინი მიწაზე დაუშვა. ნაკრების ფეხბურთელები ფედერაციისგან ათენში თამაშის სანაცვლოდ 1 500 ევროს ითხოვდნენ, ფედერაცია კი ათასს სთავაზობდა, ამის გამო უთანხმოება მოხდა. აღმოჩნდა, რომ გუნდში არაჯანსაღი გარემოა, თუმც მწვრთნელმა შეგირდები მოარჯულა და ისინი დათმობაზე წავიდნენ, სამაგიეროდ, ფედერაცია ევრო 2004-ის მატჩებში პრემიების გაზრდაზე მაინც დაითანხმეს. სებერძნეთში წაგებამ ბულგარელ მცველთა სისუსტეები გამოაჩინა და პლამენ მარკოვისთვის ამ რგოლში ვითარების გამოსწორება მთავარ საქმედ იქცა.

მეკარაეზი
1 ზდრავკო ზდრავკოვი --- ლიტეჟსი, ლოვეჩი
12 სტოიან კოლევი ----- ცსკა, სოფია
23 დიმიტარ ივანკოვი ---- ლევსკი, სოფია

მცველები
2 ვლადიმირ ივანოვი ----- ლოკომოტივი, პლოვდივი
3 როსელინ კირილოვი --- ლიტეჟსი, ლოვეჩი
4 ივანილო პეტკოვი ----- ფენერბაჰჩე, თურქეთი
5 ზლატომირ ზაგორჩიჩი --- ლიტეჟსი, ლოვეჩი
6 კირილ კოტევი ----- ლოკომოტივი, პლოვდივი
18 პრედრავ პაჟინი ----- შახტარი, უკრაინა
22 ილიან სტოიანოვი ---- ლევსკი, სოფია

ნახევარმცველები
7 დანიელ ბორიმიროვი ----- ლევსკი, სოფია
8 მილენ პეტკოვი ----- აეკ, საბერძნეთი
10 ველიზარ დიმიტროვი ---- ცსკა, სოფია
13 გეორგი პევი ----- დინამო, უკრაინა
14 გეორგი ჩილიკოვი ---- ლევსკი, სოფია
15 მარიან ხრისტოვი ---- კაიზერსლაუტერნი, გერმანია
19 სტილიან პეტროვი ---- სელტიკი, შოტლანდია
21 ზორან იანკოვიჩი ---- დალიან შიდი, ჩინეთი

თავდასხმელები
9 დიმიტარ ბერბატოვი ---- ლევერკუზენი, გერმანია
11 ზდრავკო ლაზაროვი -- გაზიანთეფი, თურქეთი
16 ვლადიმირ მანჩევი ---- ლილი, საფრანგეთი
17 მარტინ პეტროვი ----- ვოლფსბურგი, გერმანია
20 ვალერი ბოჟინოვი ---- ლეჩე, იტალია
მწვრთნელი: პლამენ მარკოვი

უთამაშია, ამიტომ მისი ადგილი „ლევისკის“ დიმიტარ ივანკოვმა დაიკავა. გამოცდილი ნახევარმცველი დანიელ ბორიმიროვი, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას „მიუნხენ 1860“-დან „ლევისკოში“ გადავიდა, მაგრამ მუხლში ძალა ძველებურად აღარ ერჩის. შედარებით „ნათილ“ წერტილები არიან როსენ კირილოვი და ზლატომირ ზაგორჩიკი. პლამენ მარკოვისთვის უკუდესი ახალი ამბავი იყო „პორტსმუთის“ ფორვარდ სვეტოსლავ ტოდოროვის მუხლის ტრავმა, რომლის გა-

მოც პორტსმუთელი ზორბენოვას გამოტოვებს. მუხლდაღების შემთხვევაში ბულგარელებს ორი მაღალი კლასის თავდასხმელი ჰყავთ — ლევერკუზენის „ბაიერის“ მთავარმეგობლე დიმიტარ ბერბატოვი და სელტიკელი სტილიან პეტროვი. ბერბატოვი განვილი ბუნდესლიგაში გამოჩენული კაცი იყო, პეტროვი კი ლარსონთან წყვილში „სელტიკის“ მრისხანე შეტევას ქმნიდა. ლარსონი გლავზოდან წავიდა, თუმც 14 ივნისს თავის ბულგარულ მეგობარს პორტუგალიაში პირველ მატჩშივე შეხვდა.

მწვრთნელი



პლამენ მარკოვი

საქართველი ჩემპიონი ფახურთი დამთავრდა, ნაჯალით თაბარში

ბულგარეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ვიდიმა რაკოვსკის“ ეამაყება, რომ პლამენ მარკოვი ფედერაციამ სწორედ მას ნაჭვეარა

სად ნახავთ კიდევ მეორე დივიზიონიდან ნაკრებში წაყვანილ მწვრთნელს, რომელსაც პირველივე ცდაზე ასეთი წარმატებისთვის მიაღწიოს. სველიევოში მცხოვრები, 46 წლის მარკოვი ადგილობრივ „ვიდიმა რაკოვსკის“ თავაკობდა, როცა 2001 წლის დეკემბერში ფედერაციიდან დაუკავშირდნენ და ეროვნული გუნდის გაძღოლა შესთავაზეს. გასული საუკუნის 80-იან წლებში ბულგარეთის ნაკრების მოთამაშე დაყაბულდა. პლამენ მარკოვი ფრთხილობს, რათა მის ფეხბურთელებს შესარჩევ ჯგუფში დაკავებული პირველი ადგილი თავში არ აუვარდეთ. თებერვალში ელინებთან მარცხს აპრილში შინ კამერუნთან შთამბეჭდავი (3:0) გამარჯვება მოჰყვა, თუმც კამერუნელებს პარიზში სავიზო პრობლემები შეექმნათა და სოფიაში შეხვედრის დაწყებამდე ორი საათით ადრე ჩააღწიეს. „ჩვენ ძლიერ მეტოქეებთან თამაში გვსურს, რათა საკუთარი ნაკლი უკეთ დავინახოთ. ევრო 2004-ის დაწყებამდე ჯერ კიდევ ბლომად საშუალო გვაქვს“ — განაცხადა

მწვრთნელმა კამერუნთან მოგებულ მატჩის შემდეგ. პლამენ მარკოვმა გუნდი სტოინო მლადენოვიცგან ჩაიბარა, რომლის ხელქვეითაც ბულგარელებმა ბოლო შეხვედრა ჩეხებთან 0:3 წააგეს. 46 წლის გამოცდილი კაცის ნაკრების თავაკად დანიშნვამ ფედერაციას კრიტიკოსები გაუმრავლა, თუმც ორწლიანი მუშაობის შემდეგ ყველა მაღლიერი დარჩა — ბულგარეთი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ მარკოვს ფეხბურთელები შეკრებისას ხშირად... თვარშიც დაჰყავდა. ბულგარელთა თავაკაცი სპორტის აკადემიის კურსდამთავრებული და ცოდნა ფრანგულ სამწვრთნელო სკოლაში გაიღრმავა. ცოტა ხანს იქაურ „გრენობლში“ მუშაობდა, მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა და ახალგაზრდული ნაკრები ჩაიბარა, შემდეგ სოფიის ცსკა, ბოლოს კი — „ვიდიმა რაკოვსკი“. ფეხბურთელობისას ცსკა-ს შემადგენლობაში ხუთჯერ გახდა ჩემპიონი, ეროვნული გუნდის მაისურა 38-ჯერ მოირგო და ექვსი სანაკრებო გოლიც მიითვალა.



UEFA Euro 2004 PORTUGAL

გუშინ ესპანეთის ნაკრები პორტუგალიაში კარგ ხასიათზე ჩავიდა. აბა, ანდორა ესპანეთისთვის რა ბედენაა, მაგრამ ზედ ევრო 2004-ის წინ თუნდაც ჯუჯა გუნდის 4:0 დამარცხება ურიგო საქმე ნაღდად არაა.

გერმანელთა გუნება-განწყობაზე კი რა მოვასხენოთ. გუშინ ბუნდესნაკრებმა მორიგი სირცხვილი ჭამა და ამ ამბავში ლომის წილი გერმანელმა დაიდო — ლოთარ მათეუსის განვრთნილმა უნგრეთის ნაკრებმა რუდი ფიოლერის საპორტუგალიოდ აბარგებულ გუნდს გზად ორი უპასუხო გოლი გაატანა.

რომ არა ზინედინ ზიდანი, ფრანგული ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილეს ღირსეულად აღნიშვნას პენი დააკლდებოდა, სწორედ ზიზუს 89-ე წუთზე გატანილი გოლით სძლიეს „ლურჯებმა“ უკრაინელებს, რომლებსაც, თავის მხრივ, ამ გოლით იუბილე ჩაუმნარდათ — გუშინ უკრაინის ნაკრებმა თავისი მე-100 მატჩი გამართა.

ზემოთ ნახსენები მატჩები და ამ უქმეებზე გამართული სხვა დანარჩენებიც ამხანაგური გახლდათ, ხუთიოდ დღეც და ვილას ესომება ამხანაგობა — საფეხბურთო ევროპა დიდი ბრძოლების მოლოდინშია.



ბოლო ხანებია, ოლივერ კანი მოედანს დარცხვენილი ტოვებს


REUTERS კაი ზერსლაუტერნიდან



მათეუსი 2:0 ფიოლარი



მიხეილ ბალაკი ძვალთა ჭახანში მოჰყვა



ესპანეთი და მორიენტესი უკვე პორტუგალიაში არიან

REUTERS პორტოლიდან



ფრანგულ ფეხბურთს ასწლოვან იუბილენე ზინედინ ზიდანი გოლი აჩუქა

REUTERS პარიზიდან

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოცემის ორგანოს,
სამსახურის, ორგანიზაციის,
პარასკევის და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოთაძე
დირექტორი გიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბუაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერავი, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე, ლადო ზომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუევაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, სათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალისხელი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტრიაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieli.com.ge>